

შპს დოპელმაიერ საუს კავკაზუსი ს/ნ 405207841

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 მარტს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დოპელმაიერ საუს კავკაზუსი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2017 წლის მაისში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შ. ნუცუბიძის ფერდობი, I მ/რ, კორ. 8, ბ. 34. ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა #36.

კომპანია/ჯგუფი ბაზარზე მოღვაწეობს "Doppelmayr" სავაჭრო ნიშნით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს:

- 1) საბაგირო გზების მონტაჟი/ინსტალაცია, მოდერნიზაცია და მშენებლობა;
- 2) სააგენტო მომსახურება;
- 3) საბაგირო გზებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია;
- 4) საბაგირო გზების რემონტი და რეაბილიტაცია.

კომპანიის არაძირითად შემოსავლებს წარმოადგენს:

- 1) სპეციალური დანიშულების ავტო ტექნიკის (ბეტონშემრევეების) გაქირავება;
- 2) უძრავი ქონების ქვეიჯარა და სხვა.

კომპანიის დირექტორია ნიკოლოზ გრძელიძე.

კომპანიის მფლობელები 2017 წლის 17 მაისიდან (დაფუძნებიდან) 2023 წლის 1 აგვისტომდე იყვნენ :

- East Capital Partners LLC / ID 404533796
- Ropetrans International GmbH / ID FN 429024v

2023 წლის 1 აგვისტოდან კომპანიას ჰყავს ერთი მესაკუთრე Ropetrans International GmbH.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარული წლის 1 აპრილიდან მომდევნო კალენდარული წლის 31 მარტის ჩათვლით. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია/ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ საქმიანობა საქართველოში, სამხრეთ კავკასიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი) და ყაზახეთში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წლებში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორიცაა კონტრაგენტის

მნიშვნელოვანი ფინანსური სიმწელები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. როდესაც დადასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

რეალური ღირებულებით შეფასება. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს.

4. ამონაგები

	2023-24	2022-23
საოპერაციო შემოსავლები		
საკომისიო შემოსავალი სააგენტო საქმიანობიდან	1,017,538	-
საბაგროების სარემონტო სერვისებიდან მიღებული შემოსავალი	680,370	572,675
შემოსავალი საიჯარო საქმიანობიდან	95,254	30,508
ჯამი	1,793,162	603,184
შემოსავალი ახალი საბაგრო გზების ინსტალაციიდან (ადგილობრივი სამუშაოები: გეოლოგია და გეოდეზიური სამუშაოები, სამშენებლო, სამონტაჟო, ელექტო სამონტაჟო სამუშაოების მიწოდება)	21,239,325	431,107
საბაგროს სათადარიგო ნაწილები რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	759,921	1,338,104
ფუნიკულიორის სათადარიგო ნაწილები რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	6,250	18,726
ჯამი	766,171	1,356,830
სულ საოპერაციო შემოსავლები	23,798,658	2,391,121

	2023-24	2022-23
არასაოპერაციო შემოსავლები		
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	85	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	84,757	210,161
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	84,841	210,161

5. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება

	2023-24	2022-23
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საბაგიროს რეალიზებული სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	565,972	743,984
ფუნქციონირის რეალიზებული სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	4,703	12,282
ჯამი	570,675	756,266

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საოპერაციო ხარჯები	2023-24	2022-23
გეოლოგია და გეოდეზიური სამუშაოები	158,898	-
სამშენებლო სამუშაოები	14,891,865	-
მონტაჟი	2,760,722	367,234
ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	1,193,195	-
საბაგირო სარემონტო სერვისის ხარჯები	428,570	272,260
ჯამი	19,433,251	639,494

	2023-24	2022-23
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები		
ლიცენზიის ხარჯი	562,980	60,392
საპენსიო შენატანის ხარჯი	6,488	5,783
ჯამრთელობის დაზღვევის ხარჯები	14,678	10,214

ტრანსპორტის ექსპუატაციის ხარჯები	102,842	38,874
საკომუნიკაციო ხარჯი	2,148	1,896
საბანკო მომსახურების ხარჯები	2,305	6,489
მარკეტინგული ხარჯები	-	-
საკონსულტაციო ხარჯები	10,463	22,370
საოფისე ხარჯები	14,005	4,629
სადაზღვევო ხარჯები	19,845	15,569
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯები	63,166	37,224
გადასახადების ხარჯი	4,521	5,436
სხვა ხარჯები	7,240	145,299
ჯამი	810,681	354,175
გასული პერიოდების ხარჯების (ლიცენზიის) კორექტირება	-	-
სულ საოპერაციო ხარჯები	20,243,932	993,669

	2023-24	2022-23
არასაოპერაციო ხარჯები		
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შედეგი	27	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი*	78,214	107,806
ჯამი	78,241	107,806

არასაოპერაციო ხარჯებში ასახულია, უსასყიდლოდ საგარანტიო მომსახურების ფარგლებში მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება.

7. ძირითადი საშუალებები

დასახელება	2024 წლის 31 მარტის მდგომარეობით		
	საწყისი ღირებულება	დაგრივლი ცვეთა	საბალანსო ღირებულება
მიწა	-	-	-
მანქანა-დანადგარები	29,421	14,616	14,805
ოფისის აღჭურვილობა	87,863	52,092	35,772
ავეჯი და სხვა ინვენტარი	27,227	14,146	13,082
სატრანსპორტო საშუალებები	275,013	166,967	108,046
სპეციალური დანიშნულების ტექნიკური საშუალებები	554,487	379,521	174,966
ჯამი	974,011	627,342	346,669

8. მარაგები

მარაგების ჯამური ნაშთიდან 338,578 ლარი წარმოადგენს უკან დაბრუნების ვალდებულებით არსებულ მარაგებს, 68,474 ლარი - გასაყიდად გამიზნულ მარაგებს, ხოლო 4,932 ლარი - ადმინისტრაციული მიზნებისათვის გამოსაყენებელ მარაგებს.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები სრულად წარმოადგენს მოკლევადიან ფინანსურ აქტივებს.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ნაღდი ფულით ოპერაციებს კომპანია არ აწარმოებს, შესაბამისად სალაროში ნაშთი არ გააჩნია. ფულადი თანხები მთლიანად განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები სრულად წარმოადგენს მოკლევადიან ფინანსურ ვალდებულებებს.

12. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის

გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 და 2023 წლების 31 მარტის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს განაშთულად, როგორც ვალდებულება 233,904 და აქტივი 13,390 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები ხორციელდება Doppelmayr/Garaventa ჯგუფის სატრანსფერო ფასწარმოქმნის გლობალურ პოლიტიკასთან სრულ შესაბამისობაში.

14. პირობითი ვალდებულებები

დაზღვევის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება შემოწმდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის გათვალისწინებით.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებას აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება. პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 583,386 ლარი.

15. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, ყოველი თვის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

2022 წლის 31 მარტისათვის 1 EUR = 3.4496 GEL;

2023 წლის 31 მარტისათვის 1 EUR = 2.7862 GEL;

2024 წლის 31 მარტისათვის 1 EUR = 2.9063 GEL;

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება ინდივიდუალურად თითოეულ ძირითად საშუალებას, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადებია:

მანქანა დანადგარები 3-5

ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი 3-7

სატრანსპორტო საშუალებები 6-10

სპეციალური დანიშნულების ტექნიკური საშუალებები 7-10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების ნამეტი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ

ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებაზე კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც წარმოიქმნა.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან და საქონლის გაყიდვიდან

მომსახურების გაწევიდან და საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. მომსახურების გაწევის და საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია/ჯგუფი მყიდველს გადასცემს მომსახურების და საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები, ჯამრთელობის დაზღვევა და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2023-24 წლის პროექტები

საწარმომ 2023-24 ფინანსური წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის N1480 დადგენილების თანახმად განახორციელა დაბა გუდაურში ორი ახალი სავარძლიანი, 6 კაციანი (ბაბლიანი) საბაგირო გზების LIFT 15 და LIFT 16 მშენებლობა, მონტაჟი/ინსტალაცია. აღნიშნულ პერიოდში საწარმო ასევე მთაწმინდის საბაგირო გზის სამონტაჟო სამუშაების წარმოებით იყო დაკავებული.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ/ჯგუფმა 2024-25 ფინანსური წლის ფარგლებში აწარმოა მოსალოდნელი პროექტების კვლევითი/მოსამზადებელი სამუშაოები მათ შორის გოდერძის უღელტეხილზე მდებარე სამთო სათხილამურო კურორტზე პოტენციური 10 კაციანი გონდოლური ტიპის საბაგირო და დაბა გუდაურში რამოდენიმე საბაგირო გზის კვლევითი/გეოდეზიური სამუშაოები.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (1) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი; ან
- (2) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (3) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (1) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

- (2) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (3) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (4) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (5) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (6) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (7) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (8) (ა) (2) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/03/2024	31/03/2023	31/03/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,416,854	1,554,775	2,632,268
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,395,981	165,308	2,391,439
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	14,663	53,087	13,349
მარაგები	411,984	437,167	382,411
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	411,984	437,167	382,411
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	13,390	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	346,669	448,707	489,322
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	5,586,151	2,672,434	5,908,789
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	656,512	53,540	206,135
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	233,904	-	378,763
გამომუშავებული შემოსავალი	-	398,783	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	890,416	452,323	584,898
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	806,494	806,494	806,494
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3,889,241	1,413,617	4,517,397
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	4,695,735	2,220,111	5,323,891
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,586,151	2,672,434	5,908,789
სულ მოკლევადიანი აქტივები	5,239,482	2,223,727	5,419,467
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	890,416	452,323	584,898

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/03/2024	31/03/2023
ნეტო ამონაგები	23,883,415	2,601,282
საქონლის გაყიდვიდან	766,171	1,356,830
მომსახურების გაწევიდან	1,793,162	603,184
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	21,239,325	431,107
სხვა	84,757	210,161
გაყიდვების თვითღირებულება	(570,675)	(756,266)
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	23,312,740	1,845,016
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(303,469)	(274,365)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(118,888)	(120,146)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	(100,775)	(100,372)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(20,322,174)	(1,101,476)
სულ საოპერაციო ხარჯები	(20,845,306)	(1,596,359)
საოპერაციო მოგება	2,467,434	248,657
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	8,105	(430,497)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	85	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2,475,624	(181,840)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2,475,624	(181,840)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2,475,624	(181,840)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2,220,111	5,323,891
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	(2,921,940)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,695,735	2,220,111

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/03/2024	31/03/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,846,844	2,346,282
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(20,135)	(82,241)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	(2,921,940)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	1,826,709	(657,899)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	35,370	(419,594)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,554,775	2,632,268
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,416,854	1,554,775